

# ქართული ქესტური ენის ლინგვისტიკის ისტორია

ეკატერინე

ნანიტაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[ekaterine.nanitashvili.1@iliauni.edu.ge](mailto:ekaterine.nanitashvili.1@iliauni.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2023.09>

*ქესტური ენების ლინგვისტურ კვლევას სამეტყველო ენების ლინგვისტიკასთან შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს და სათავეს მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ქესტური ენების სრულფასოვან ბუნებრივ ენებად მიჩნევას და მათი ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლას არც ისე დიდი ისტორია აქვს, მეცნიერულად გამოკვლეული ქესტური ენების რიცხვი თანდათან იზრდება. ქართული ქესტური ენის ლინგვისტიკა მხოლოდ ერთ ათეულ წელს ითვლის, მაგრამ კვლევამ ენის თითქმის ყველა დონე მოიცვა და გამოვლენილი უნიკალური მახასიათებლები ამ ბუნებრივი ენის მიმართ ლინგვისტთა ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს და მნიშვნელოვან კროსლინგვისტურ კვლევებს უდებს საფუძველს.*

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ქესტური ენა, ლინგვისტიკა, ისტორია, კვლევა

წარსულში ქესტური ენების დოკუმენტირების საშუალებების არქონის გამო, ძირითადად ისტორიულ ცნობებსა და გადმოცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივიარაუდოთ ამა თუ იმ ქესტური სისტემის არსებობა. ჩვეულებრივ, ასეთი ისტორიული ცნობები მწირია და არ შეიცავს ლინგვისტურ ინფორმაციას. მაგალითად, ცნობილია, რომ XV-XVII საუკუნეებში ოტომანთა იმპერიის დროს ქესტური სისტემით სარგებლობდნენ ყრუთა სპეციალური დანაყოფის წევრები (Miles 2000), თუმცა ამ ისტორიულ ქესტების სისტემასთან დღევანდელი თურქული ქესტური ენის (TİD) კავშირის დასაბუთება შეუძლებელია, ამიტომაც მსგავსი ისტორიული წყაროების ლინგვისტური ღირებულება არც ისე დიდია. რადგან ქესტური ენების დიაქრონული შესწავლა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ლინგვისტები ძირითადად ამჟამად არსებული ენობრივი მონაცემების გაანალიზებით ახერხებენ ამა თუ იმ ქესტური ენის განვითარების პირველი ეტაპების შესახებ მსჯელობას. ქართული ქესტური ენის ჩამოყალიბების შესახებ ისტორიული ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ არსებულ კვლევებზე დაყრდნობითა და ყრუ თემის წევრების ზეპირი გადმოცემების საფუძველზე თამარ მახარობლიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ საბჭოთა

კავშირის პერიოდში რუსული ქესტური ენის გავლენის გაძლიერებამდე საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ქესტური ენა და სწორედ ამით აიხსნება, რომ მიუხედავად ბევრი მსგავსი ლექსიკური ერთეულისა, ქართულ ქესტურ ენაში კვლევებით დასტურდება ისეთი მორფო-სინტაქსური კატეგორიების არსებობა, რაც არ არის რუსული ქესტური ენისთვის დამახასიათებელი, რადგან მსგავსი გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბებას დიდი დრო სჭირდება, საფუძვლიანია ვარაუდი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ქესტური ენის გავრცელებამდე ყრუ თემი უკვე არსებობდა (მახარობლიძე, 2022). ეს საკითხი საჭიროებს უფრო ღრმად შესწავლას, თუმცა ჯერჯერობით ნაპოვნი წერილობითი მონაცემები ყრუ თემის შესახებ მხოლოდ საბჭოთა კავშირის პერიოდით თარიღდება. 1950-იან წლებში ფუნქციონირებდა სპეციალური სკოლები ყრუ ბავშვებისთვის. მართალია, ამ დროისთვის სწავლების ე.წ. ორალისტური მეთოდი იყო გავრცელებული საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე და განათლების სისტემის მიზანი სულაც არ იყო ქესტური ენის განვითარება, ამ სკოლების საქართველოში ჩამოყალიბებამ მაინც გამოიწვია ქართული ქესტური ენის განვითარება, რადგან ყრუ ბავშვებს ჰქონდათ ერთმანეთთან ქესტურ ენაზე ურთიერთობის საშუალება. ყრუ თემის ჩამოყალიბებას და ქესტური ენის განვითარებას ასევე შეუწყო ხელი ყრუთა კავშირის ჩამოყალიბებამ და სხვადასხვა ქარხანასა თუ დაწესებულებაში ყრუ პირების ჯგუფურად დასაქმებამ. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დროს არსებულ ენათა კონტაქტის გამო ქართულ ქესტურ ენაში იგრძნობა არა მხოლოდ რუსული ქესტური ენის, არამედ სამეტყველო რუსულის გავლენაც, მაგრამ კვლევებით დგინდება ისეთი უნიკალური მახასიათებლები, რაც ადასტურებს ამ ენის ბუნებრივ წარმოშობას.

ქესტური ენების ლინგვისტიკა სათავეს ფაქტობრივად გასული საუკუნის 60-იან წლებში უილიამ სტოკოეს (Stokoe, 1960) მიერ ამერიკული ქესტური ენის კლავიდან იღებს. ქართული ქესტური ენის ლინგვისტიკა ენათმეცნიერების კიდეც უფრო ახალი მიმართულებაა, რადგან მისი ისტორია მხოლოდ ერთ ათეულ წელს მოიცავს. ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად ქართული ქესტური ენის კვლევა გამორჩეულად ნაყოფიერია და ენის თითქმის ყველა დონეს მოიცავს. გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სტატიებიდან და წიგნებიდან შეიძლება რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაშრომი გამოვყოთ:

### 1. ქართული ქესტური ენის ლექსიკონის შექმნა

აღსანიშნავია ქართული ქესტური ენის ლექსიკონი, რომელიც 4000 ერთეულს მოიცავს (მახარობლიძე, 2015). წყაროებთან აქტიური მუშაობის შემდეგ გადაღებული მასალის ენობრივი დამუშავების და დადგენილი ლექსიკური ერთეულების ვიზუალიზაციის შემდეგ, ყოველგვარი პარამეტრის დაცვით აღწერილი მასალა ხელმისაწვდომია ელექტრონულადაც

(იხ. <https://gesl.iliauni.edu.ge/>) და შესაძლებელია, მარტივი საძიებო სისტემის წყალობით სწრაფად, ყველასთვის გასაგები განმარტებითა და გამოსახულებით საჭირო ქესტის პოვნა და ამავე დროს მისი სწორი პარამეტრების დადგენა.

## 2. დაქტილური ანბანის ქართული ვარიანტის შემუშავება

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული დაქტილური ანბანის შექმნა (მახარობლიძე, 2016). ყრუთა ქართული თემი დღემდე იყენებს რუსული ქესტური ანბანის გავლენით შექმნილ ანბანს, თუმცა ახალი ქართული დაქტილური ანბანი შემუშავებულია ამავე თემის წევრებთან კონსულტაციების შედეგად, საერთაშორისო პარამეტრებთან ერთად გათვალისწინებულია ქართული დამწერლობაც და გარკვეული კულტურული მახასიათებლებიც, რაც გაუმარტივებს ყრუ ბავშვებს ქართულ ქესტურ ენასთან ერთად ქართული ენის შესწავლასაც, მაგრამ ამ ანბანის დამკვიდრებისთვის საჭიროა მისი საგანმანათლებლო პროცესში გამოყენება და მომავალი თაობისთვის სწავლება.

## 3. ქართული ქესტური ენის მორფოლოგიის კვლევა, სტატიები და საერთაშორისო გამოხმაურება

ქართული ქესტური ენის მორფოლოგიის სხვადასხვა საკითხის კვლევას მიძღვნილი სტატიების ნაწილი გაერთიანებულია წიგნში „ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია“ (მახარობლიძე, 2019), სადაც განხილულია როგორც ზოგადად ქესტურ ენათა მორფოლოგია, ასევე ქართული ქესტური ენის ზმნის მახასიათებლები, ზმნური აქტანტები, ვერსიისა და კაუზაციის კატეგორიები ქართულ ქესტურ ენაში, ასევე დრო, კილო, ასპექტი და მოდალობა.

ქართული ქესტური ენის ლინგვისტიკის მცირე ისტორიის განმავლობაში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სტატიების საფუძველზე დიდი ინტერესი გამოიწვია უნიკალურმა მახასიათებლებმა. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულად საინტერესო მახასიათებელია ირიბობიექტური პირის მარკერი (Makharoblidze, 2015). ჩვეულებრივ, ქესტურ ენებში ზმნის შეთანხმება მის არგუმენტებთან/აქტანტებთან კინეტიკითაა გამოხატული და სივრცეში სუბიექტის აღმნიშვნელი ადგილიდან ობიექტის აღმნიშვნელი ადგილისკენ ხელის მოძრაობის ან ხელისგულის მიმართულების ცვლილებით ხდება (Padden, 1988 [1983]), იმ მარტივ ზმნებთან, რომლებიც მანუალურად ვერ გამოხატავს შეთანხმებას, სხვადასხვა საშუალება გამოიყენება, მათ შორის სპეციალური დამხმარე მარკერები, ან დამხმარე ზმნები, რომლებიც გამოვლენილია რამდენიმე ქესტურ ენაში. თუმცა ქართული ქესტური ენისთვის დამახასიათებელი მარკერებისა და ბრუნვის ნიშნების არსებობა ამ დროისთვის შესწავლილ რომელიმე სხვა ქესტურ ენაში ჯერჯერობით არ დასტურდება. შესაბამისად, ირიბობიექტური

პირის მარკერის შესახებ სტატიაში დიდი ინტერესი გამოიწვია. სამომავლო კროსლინგვისტური კვლევების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ქართულ ჟესტურ ენაში გამოვლენილი არგუმენტთა სხვა მარკერებიც: პირდაპირი ობიექტისა და ერგატივის მარკერი (მახარობლიძე 2019).

2018 წელს ქართულ ჟესტურ ენაში ნეგაციის კვლევისას კიდევ ერთი საინტერესო მახასიათებელი იქნა შესწავლილი, კერძოდ ნეგატიური კონკორდი, რომლის საშუალებითაც, ფაქტობრივად, წარსული დროის მარკირება ხდება (Makharoblidze & Pfau, 2018). ზოგადად, უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების თანმიმდევრობის არსებობა უჩვეულო არ არის ჟესტური ენებისთვის, მაგრამ მსგავს თანმიმდევრობას დროის გამოხატვასთან კავშირი, ჩვეულებრივ, არ აქვს.

ზემოთ განხილული ნაშრომები ქართულ ჟესტურ ენაში ჩატარებული კვლევების მცირე ნაწილს წარმოადგენს. ამ კვლევების შედეგად ქართული ჟესტური ენის ლინგვისტურ ღირებულებაზე კითხვა აღარ ჩნდება და დადასტურებულია, რომ ის ნამდვილად დამოუკიდებელი ბუნებრივი ენაა და მისი სამომავლო შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჟესტური, არამედ სამეტყველო ენების კროსლინგვისტური კვლევებისთვისაც.

### ლიტერატურა:

1. Makharoblidze , Tamar. 2015. Georgian Sign Language Dictionary. Ilia State University; Shota Rustaveli National Scientific Foundation. Tbilisi. ISBN 978-9941-16-225-5 1368 pp.
2. Makharoblidze , Tamar. 2016. The Georgian Dactyl Alphabet. Caucasiologic Papers #8. TSU. Tbilisi pp.105-145.
3. Makharoblidze, Tamar and Pfau, Roland. 2018. A negation-tense interaction in Georgian Sign Language. Sign Language & Linguistics. 21:1, John Benjamins Publishing Company. 135–149.
4. Makharoblidze, Tamar. 2015. Indirect object markers in Georgian Sign Language. Sign Language & Linguistics. #18 (2) John Benjamins Publishing Company. 238-250
5. Miles, M. 2000. Signing in the Seraglio: mutes, dwarfs and jestures at the Ottoman court 1500–1700. Disability & Society 15(1). 115–134
6. Padden, Carol. 1983. Interaction of morphology and syntax in American Sign Language. University of California, San Diego PhD dissertation [published 1988, New York: Garland Press].

7. Stokoe, W.C. 1960. Sign language structure: an outline of the visual communication systems of the American deaf. Studies in Linguistics Occasional Papers 8. Buffalo: University of Buffalo Press [Re-issued 2005, Journal of Deaf Studies and Deaf Education 10(1). 3–37].

8. მახარობლიძე, თამარ. 2019. ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

9. მახარობლიძე, თამარ. 2022. ქართული ქესტური ენის შესახებ. სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“ #28, 43-47

**Ekaterine Nanitashvili**  
Ilia State University

### **The History of Georgian Sign Language (GESL) Linguistics**

#### Abstract

Sign Language Linguistics is a relatively young area of linguistic research. Its origin dates back to the first analysis of American Sign Language by Stokoe (Stokoe, 1960). However, sign language linguistics in general has a quite long history in comparison to Georgian Sign Language (GESL) linguistics, which only counts several years. Despite its brief history, GESL research includes almost all the linguistic levels and the features of GESL that have already been explored promise high expectations for future discoveries. Research of any unexplored sign language is an indispensable resource for linguists and may produce unexpected results, especially when this sign language deploys such interesting features as GESL. Thus, the results of GESL research is invaluable for not only sign language linguistics, but also for typological studies of sign and spoken languages.

**Key words:** Georgian Sign Language; Linguistics; History; Research

**რეცენზენტი:** პროფესორი თამარ ლომთაძე